პარტნიორობის შეთავაზება

დასაქმების ხელშეწყობის კანონი

HRPA
HR პროფესიონალთა ასოციაცია

ICDC
ინსტიტუციური და შესაძლებლობების
განვითარების ცენტრი
INSTITUTIONAL AND CAPACITY
DEVELOPMENT CENTER

HOME • სახლი

თანამშრომლობის პერსპექტივა:

კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების, დასაქმების კონსულტატებისა და მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების მომზადება ერთობლივი სასერთიფიკატო პროგრამით (კომისიაში სახელმწიფოს წარმომადგენლით).

თანამშრომლობის პერსპექტივა გამომდინარეობს შემდეგი მუხლის დებულებებიდან:
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

დ) **დასაქმების კონსულტანტი** - პირი, რომელიც ასრულებს ამ კანონით დადგენილ ღონისძიებებს სამუშაოს მაძიებლების დასაქმებისა და პოტენციური დამსაქმებლებისათვის სამუშაოს მაძიებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

HRPA - სასერტიფიკატო პროგრამა ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად - Job Coach-ების მომზადება არ იყოს მხოლოდ სააგენტოს პრეროგატივა

ი) **კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი** - პირი, რომელიც ადგენს სამუშაო მაძიებლის კარიერული განვითარების ინდივიდუალურ გეგმას და მუშაობს ამ გეგმის მუდმივ დახვეწასა და განვითარებაზე;

ნ) **მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი** - დასაქმების კონსულტანტი, რომელიც ახორციელებს ამ კანონით დადგენილ ღონისძიებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სამუშაო მაძიებელთა დასაქმების მიზნით.

თანამშრომლობის პერსპექტივა:
HR პროფესიონალთა ასოციაციის მეშვეობით HR პროფესიონალები ჩაერთვებიან ამ ინიციატივაში, შესაძლოა მოვაწყოთ ერთობლივი Job Fair-ები, როგორც პირისპირ შეხვედრის, ისე ონლაინ რეჟიმში, ვაწარმოოთ ვიდეო CV-ების მიღება.

თანამშრომლობის პერსპექტივა გამომდინარეობს შემდეგი მუხლის დებულებებიდან:
მუხლი 3. კანონის მიზნები
1. კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს მოქალაქეების დასაქმებას, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის წარმოებას, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, ასევე დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების თანაბრად ხელმისაწვდომობას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის.

თანამშრომლობის პერსპექტივა:
შესაძლოა HR პროფესიონალთა ასოციაციამ, ICDC-მ და ჯანდაცვის სამინისტრო შექმნან შეფასების ცენტრი პიროვნული და პროფესიული კვლევებისთვის.

თანამშრომლობის პერსპექტივა გამომდინარეობს შემდეგი მუხლის დებულებებიდან:
მუხლი 3. კანონის მიზნები
ბ) სამუშაოს მაძიებელთა პიროვნულ უნარებზე, ცოდნასა და კომპეტენციაზე მორგებული სამუშაო ადგილების შეთავაზებას;

თანამშრომლობის პერსპექტივა:
შესაძლოა შეიქმნას HR პროფესიონალთა ასოციაციისა და ICDC-ის ერთოვბლივი კვლევის პორტალი, სადაც live რეჟიმში მოხდება შრომის ბაზრის აქტუალური მოთხოვნების და მუდმივად განახლებადი ინფორმაციის განთავსება.

თანამშრომლობის პერსპექტივა გამომდინარეობს შემდეგი მუხლის დებულებებიდან:
მუხლი 10. სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობა
3. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ეფექტიანი მართვა ეფუძნება შრომის ბაზრის აქტუალური მოთხოვნების და მუდმივად განახლებადი ინფორმაციის საფუძველზე კერძო სექტორთან აქტიურ თანამშრომლობას.

თანამშრომლობის პერსპექტივა:

HR პროფესიონალთა ასოციაცია გაუწევს პოპულარიზაციას "დასაქმება შრომის ანაზღაურების სუბსიდირებით" სისტემას და აამაღლებს ცნობიერების ამ თემაზე HR პროფესიონალებს შორის.

თანამშრომლობის პერსპექტივა გამომდინარეობს შემდეგი მუხლის დებულებებიდან:

მუხლი 15. დასაქმება შრომის ანაზღაურების სუბსიდირებით

1. დასაქმება შრომის ანაზღაურების სუბსიდირებით წარმოადგენს დამსაქმებლისათვის მატერიალურ სარგებელს იმ სამუშაოს მაძიებლის დასაქმების მიზნით, რომელიც არის: ...

თანამშრომლობის პერსპექტივა:
შესაძლოა HR პროფესიონალთა ასოციაციამ და ICDC-მ მართონ დასაქმების პლატფორმა, ხოლო სახელმწიფომ გასწიოს მონიტორინგი. ასოციაციამ პანდემიის შედეგად უმუშევრად დარჩენილი ადამიანებისთვის შექმნა ძალიან წარმატებული H4H ციფრული პლატფორმა.

თანამშრომლობის პერსპექტივა გამომდინარეობს შემდეგი მუხლის დებულებებიდან:
მუხლი 22. ინფორმირება
4. სააგენტოს მიერ ინფორმაცია მიეწოდება როგორც სამუშაოს მაძიებლებს, ისე დამსაქმებლებს.

თანამშრომლობის პერსპექტივა:
შესაძლოა HR პროფესიონალთა ასოციაციასთან ერთად დამუშავდეს ეს კრიტერიუმები.

თანამშრომლობის პერსპექტივა გამომდინარეობს შემდეგი მუხლის დებულებებიდან:
მუხლი 24. დასაქმების შანსების შეფასება
1. სამუშაოს მაძიებლის დასაქმების შანსის შეფასება ხდება სააგენტოს მიერ შემუშავებული მისი პროფესიული და ინდივიდუალური კრიტერიუმებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების საფუძველზე, რომლის შედეგად ფასდება სამუშაოს მაძიებლის დასაქმების ალბათობა.

თანამშრომლობის პერსპექტივა:
ICDC-ის პროგრამის „Home-ის“ ფარგლებში არსებული პროექტების გაცნობა, რომლებიც მიმართულია დასაქმების ხელშეწყობაზე ქალებში, ახალგაზრდებსა და სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებში.

თანამშრომლობის პერსპექტივა გამომდინარეობს შემდეგი მუხლის დებულებებიდან:
მუხლი 31. შრომისუნარიან უმუშევარ პირთა დასაქმების ხელშეწყობა
1.სააგენტო ხელს უწყობს შრომისუნარიან უმუშევარ პირთა დასაქმების მოტივაციის ამაღლებას და მათ გააქტიურებას დასაქმებისა და მოკლევადიანი, პროფესიული საგანმანათლებლო კურსში ჩართვის კუთხით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის სააგენტოს ღონისძიებები შესაძლებელია იყოს ინდივიდუალური კონსულტაციები და ფართომასშტაბიანი ცნობიერების ამაღლების კამპანიები.

თანამშრომლობის პერსპექტივა:
პირველ პუნქტში აღწერილ კონტექსტში.

თანამშრომლობის პერსპექტივა გამომდინარეობს შემდეგი მუხლის დებულებებიდან:
მუხლი 55. დასაქმების ხელშეწყობის საქმიანობის გადაცემა სხვა იურიდიულ პირებზე
1. ამ კანონის მიზნების ეფექტიანად შესრულებისათვის, შესაძლებელია ხელშეკრულების საშუალებით დასაქმების ხელშეწყობის საქმიანობის განსაზღვრული ფუნქციის ან სამუშაოს შესრულება განსახორციელებლად გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ჩვენი საქმიანობა დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით

ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრი - ICDC

ICDC წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას რომელიც 2014 წელს დაარსდა HR, ორგანიზაციული განვითარების, ტრენინგებისა და ადამიანების განვითარების წამყვანი ექსპერტების მიერ. ორგანიზაციის დამფუძნებლებს გააჩნიათ - საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორებში, მათ შორის ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმატებული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება.

HOME

ეს არის ადამიანების განვითარების პლატფორმა რომელიც თავისი არსით წარმოადგენს ეკოსისტემას ადამიანების პიროვნული და პროფესიული განვითარების, ასევე მნიშვნელოვანი ნეტვორკინგის ხელშეწყობისათვის.

HOME პლატფორმის სერვისები:

- ადამიანების განვითარების პროგრამები - სალონური ტიპის საღამოები, მასტერკლასები, ტრენინგები, სასერტიფიკატო პროგრამები, სტაჟირების პროგრამები, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები, ქოუჩინგის, მენტორობის, პოზიტიური ფსიქოთერაპიის პროგრამები.
- Community Homes (კლუბები) - საზოგადოებრივი ჯგუფების ფორმირება და განვითარება - ნეტვორკინგის, გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აქტივობები და ღონისძიებები.
- გაზიარებული სერვისები (shared services)/ სერვისების აუთსორსინგი - განვითარების პროექტების აქტივობების სრული პროცესის ორგანიზება განხორციელების მიზნით.

HRPA – HR პროფესიონალთა ასოციაცია

USAID-ისა და გაეროს ასოციაციის „ტოლერანტობის სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამასთან" (PITA) თანამშრომლობა, რაც გულისხმობს სტაჟირების პროგრამის ერთობლივ განხორციელებასა და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას.

ჩვენი საქმიანობა დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით

YOUTH HOME

Youth Home – შექმნილია ახალგაზრდებისათვის პროფესიული და კარიერული განვითარების, ნეტვორკინგის განვითარების, სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამებზე უწყვეტი ხელმისაწვდომობის მიზნით. პლატფორმა გულისხმობს მიდგომას ერთ სივრცეში მოუყაროს თავი ყველა იმ განვითარების პროგრამას, აქტივობასა და ინფორმაციას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის.

YOUTH HOME -ის პლატფორმა წარმოადგენს სახლს, სადაც ერთ სივრცეში ერთიანდება:

- პიროვნული და პროფესიული შესაძლებლობების ანალიზის მიზით სხვადასხვა ტიპის კვლვითი ინსტრუმენტები. პერსონალური ექსპერტული კონსულტაცია - პიროვნული და პროფესიული შესაძლებლობების ანალიზის, კომპეტენციების მეფინგის და პროფილირების, ასევე GAP ანალიზის მიზნით;
- კონსულტაციები:
    - კარიერული დაგეგმვისა და განვითარების მიმართულებით
    - პროფესიული და პიროვნული განვითარების მიმართულებით.
- შეხვედრების ციკლი დამსაქმებლებთან და დარგობრივ წამყვან ექსპერტებთან:
- HR პროფესიონალები, სხვადასხვა დარგის წამყვანი ექსპერტები, საჯარო უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ბიზნეს კომპანიების ტოპ მენეჯერები;
- პერსონალური განვითარებისა და მაინდფულნესის პროგრამები:
    - ქოუჩინგი
    - პოზიტიური ფსიქოთერაპია
    - მანდფულნესისა და ველბინგის პროგრამები (Mindfulness & Wellbeing)
- ხელმისაწვდომობა ყველა საჭირო ინფორმაციაზე:
    - პიროვნული და პროფესიული განვითარების მნიშვნელოვანი პროგრამების, ტრენინგების, სასერტიფიკატო პროგრამების შესახებ
    - პროფესიული და საუნივერსიტეტო პროგრამების შესახებ
    - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროგრამების მიერ დაფინანსებული მიზნობრივი პროგრამების შესახებ

- სტაჟირების პროგრამები წამყვან კომპანიებში - საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით;
- დასაქმების მიზნობრივი პროგრამები ბიზნეს კომპანიებთან თანამშრომლობით;
- მენტორობის პროგრამები სხვადასხვა დარგის წამყვან ექსპერტებისა და პროფესიონალების ჩართულობით;
- ნეტვორკინგ საღამოები და სალონური ტიპის შეხვედრები - მრავალმხრივი პროფესიული კონტაქტების განვითარების ხელშეწყობა
- მასტერკლასები პიროვნული და პროფესიული განვითარების მიმართულებით;
- სამუშაო შეხვედრების ციკლი 21-ე საუკუნის ყველაზე მოთხოვნადი და აქტუალური პროფესიებისა და წამყვანი პროფესიული და პიროვნული უნარების შესახებ.

YOUTH HOME

საკონტაქტო ინფორმაცია:

- მისამართი: მ. წინამძღვრიშვილის 87

ტელეფონი:

- *577 05 20 40 - **სერგო ნოზაძე** , HR პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი, ICDC-ის დამფუძნებელი*
- *577 05 20 65 - **მაკა კუკავა**, ICDC-ის პრეზიდენტი*
- *577 60 50 88 - **სალომე ღაჭავა**, HR პროფესიონალთა ასოციაციის პროგრამის ოფიცერი*